პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

Personal Data Protection Service

PDPS 1 25 00016394

25/09/2025

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
აკადემიკოს ჯაბა სამუშიას

მის.: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №3, 0179
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge

ბატონო ჯაბა,

გაცნობებთ, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აცხადებს კონკურსს საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის პირველ ეროვნულ შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად.

ინიციატივის მიზანია სტუდენტებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლისა და მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, მათი სამართლებრივი ანალიზისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევების განვითარება, ასევე, პროფესიული კონტაქტების ქსელის შექმნა.

იმიტირებულ შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს V სემესტრიდან. თითოეულ უნივერსიტეტს შეუძლია წარადგინოს რამდენიმე გუნდი, რომელიც უნდა შედგებოდეს ერთი და იმავე უნივერსიტეტის ოთხი სტუდენტისგან.

შეჯიბრი ჩატარდება როლური თამაშის ფორმატში. ტესტირების შედეგად შერჩეული რვა საუკეთესო გუნდის წევრები მოირგებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა როლს: ჩაატარებენ ინსპექტირების სიმულაციას, შეისწავლიან ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მოამზადებენ საბოლოო გადაწყვეტილებას. გამარჯვებულს გამოავლენს ჟიური. შეჯიბრი გაიმართება ქალაქ თბილისში.

შეჯიბრის ყველა მონაწილეს გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი და თემატური ლიტერატურა, ხოლო გამარჯვებული გუნდის წევრები მოიპოვებენ შესაძლებლობას გაიარონ სამთვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თბილისის ოფისში.

შეჯიბრში მონაწილეობის მსურველებმა 2025 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე: competition2025@pdps.ge უნდა წარმოადგინონ განაცხადი გუნდის შემადგენლობის თაობაზე, სტუდენტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი ცნობა და პირადობის მოწმობის ასლი.

მოხარული ვიქნებით, თუ თქვენი უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან ეროვნულ შეჯიბრში.

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,
ლელა ჯანაშვილი

სამსახურის უფროსი